# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№11 (42) 2014


## თსუ-ს ახალი წარმომადგენლობითი საბჭო ჰყავს



***თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) ჰყავს. არჩევნები თსუ-ში 12 ნოემბერს ჩატარდა და აკადემიურმა საბჭომ (მონაწილეობა მიიღო 105 წევრმა) და 487-მა სტუდენტმა 4 წლის ვადით სენატის ახალი შემადგენლობა აირჩიეს. არჩევნებში თავდაპირველად 54 კანდიდატი მონაწილეობდა. თუმცა, კენჭისყრის შედეგად, 42 წევრი აირჩიეს. აქედან 14 სტუდენტია.***

ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, სენატის ახალი შემადგენლობა ასე გამოიყურება: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი – პროფესორი უშანგი გოგინავა და ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი, პროფესორი ბეჟან თუთბერიძე, პროფესორი ლია მაჭავარიანი, პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი, პროფესორი მანანა ხაჩიძე; სტუდენტები – ბექა ბექაური და პაატა ბახტურიძე: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – ასოცირებული პროფესორი ირაკლი ბრაჭული, პროფესორი კახაბერ ლორია, ასოცირებული პროფესორი თამარ პაიჭაძე, პროფესორი ლევან გორდეზიანი, ასოცირებული პროფესორი გიორგი ოთხმეზური, ასოცირებული პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი, ასოცირებული პროფესორი ნანი გელოვანი; სტუდენტები თეონა მინდიაშვილი, ლაშა სამხარაძე, ანნა

***გაგრძელება მე-2 გვ.***

## რექტორი საზოგადოების შეკითხვებს პასუხობს

***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ ბოლო პერიოდში თსუ-ს, მისი ადმინისტრაციის და რექტორის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებებსა და გავრცელებულ არასწორ ინფორმაციაზე სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.***




პრესკონფერენციაზე რექტორმა ამ თავდასხმის შესაძლო მიზეზებს გაუსვა ხაზი:

„მას შემდეგ, რაც მე და უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, მათ შორის, სტუდენტებმა, უნივერსიტეტის ინტერესების დასაცავად გავაკეთეთ განცხადებები სხვადასხვა მიმართულებით – იქნებოდა ეს სასაფლაო, გაზგასამართი სადგური, თუ ცალკე სპეციალური დაფინანსების გამოყოფა, ველოდი, რომ იქნებოდა შემოტევა უნივერსიტეტზე. ჩვენი მიზანია უნივერსიტეტი იყოს ღია და გამჭვირვალე. მიუხედავად იმისა, რა თანამდებობაზე ვიქნები, არ შევურიგდები იმ საკითხებს, რომელიც უნივერსიტეტის საწინააღმდეგო იქნება. რა თქმა უნდა, ყველაფერი იდეალურად არ არის; იყო და არის გარკვე-

***გაგრძელება მე-2 გვ.***

## კავკასიელი და გერმანელი მეცნიერები ნახშირორჟანგის შეგროვებისა და შენახვის პერსპექტივებს იკვლევენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები უკვე კარგა ხანია აქტიურად თანამშრომლობენ უცხოელ პარტნიორებთან სხვადასხვა საერთაშორისო დონის პროექტებში. ქართველ, გერმანელ და სომეხ მეცნიერთა მონაწილეობით, ოქტომბრის დასასრულს, ევროგაერთიანების BS-ERA NET „SGD Black Sea“ გრანტის ფარგლებში, თსუ-ში საერთაშორისო ვორკშოპი „ნახშირორჟანგის შეგროვების და შენახვის პრობლემები და პერსპექტივები კავკასიაში“, გაიმართა. იგი გარკვეულწილად შემაჯამებელი ეტაპი აღმოჩნდა იმ ერთობლივი პროექტისა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ დაიწყო.

2011 წელს ევროკავშირის კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამის ეგიდით მიმდინარე პროექტის ფარგლებში – „შავი ზღვის რეგიონში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კავშირების დამყარება“ (BS-ERA.NET) საპილოტე კონკურსი ჩატარდა. კონკურსზე წარდგენილი ერთობლივი 66 პროექტიდან სულ 11 დაფინანსდა. აქედან 4 – ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით. ერთ-ერთი ამ პროექტებიდან – „სამხრეთ კავკასიაში ნახშირწყლების შეგროვებისა და შენახვისთვის ბუნებრივი ანალოგების შესწავლა“ გახლდათ. ეს კვლევა თსუ მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის, ჰიდროგეოფიზიკისა და გეოთერმიის კვლევითი ცენტრის მეცნიერების მონაწილეობით განხორციელდა. ჩატარებული სამეცნიერო სამუშაოები ევროკავშირისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა.

როგორც პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი საქართველოს მხრიდან გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი მელიქაძე აცხადებს, „ამ ინტერდისციპლინარული პროექტის მიზანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ტექნიკური და სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება მიმდინარე გლობალური კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ მიმდინარე კვლევებში.“ როგორც

***გაგრძელება მე-3 გვ.***

## „შემოდგომის ლეგენდა“ 2014



***ჩემოდანში მოთავსებული დიქტოფონი, ბილეთები კულტურულ ღონისძიებაზე, აბები, გასაღები და წყლის პისტოლეტი. იმის „გასარკვევად“ თუ რა საერთო ისტორია აკავშირებდა ჟიურის მიერ შერჩეულ ამ რამდენიმე საგანს, „შემოდგომის ლეგენდის“ მეორე ტურში გასულ 10 სტუდენტს 12 საათი ჰქონდა.***

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტია, წელს მეექვსედ ჩატარდა. 25-26 ოქტომბერს მისი მასპინძელი ილიას მთაზე მდებარე იუსტიციის სასწავლო ცენტრი გახლდათ. წელს ჟიურის წევრები იყვნენ: მწერლები დათო ტურაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, მაკა ლდოკონენი, ბასა ჯანიკაშვილი, ლიტერატურათმცოდნე ლევან გიგინეიშვილი და „ლეგენდის“ შარშანდელი გამარჯვებული ბექა ადამაშვილი.

იმპროვიზაციული ტურის შემდეგ ჟიურიმ სამი გამარჯვებული გამოავლინა და ყვარელშივე გამართულ დაჯილდოების საღამოზე დაასახელა. საუკეთესო ნაშრომი საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტის ქეთევან მეფარიძის აღმოჩნდა, მეორე და მესამე ადგილის მფლობელები კი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები – ნინო მოდებაძე და თამთა ქამუშაძე გახდნენ. გამარჯვებულებს უნივერსიტეტისგან 1000, 700 და 500 ლარის ოდენობის ფულადი პრიზი და კომპანია „ჯეოსელის“ საჩუქრები გადაეცათ.

„ეს იყო ყველაზე საინტერესო კონკურსი ჩემი ცხოვრების მანძილზე. ასეთ საგანგებო რეჟიმში არასდროს ვყოფილვარ. ძალზე სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერ გავიდოდი, მაგრამ ჟიურის წევრებმა ისეთი რეკვიზიტები მოგვცეს, რომ თავისუფლად შეიძლებოდა

***გაგრძელება მე-4 გვ.***

## თსუ პროფესორის წარმატება




თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე არჩეულია ბიზნეს სისტემების ლაბორატორიის (იტალია) სამეცნიერო საზოგადოების ინიციატივით შექმნილი „ბაზრებისა და ბიზნეს სისტემების საერთაშორისო ჟურნალის“ [International Journal of Markets and Business Systems – IJMABS] სარედაქციო კოლეგიის წევრად.

*გვ. 2*

## მეორე ეროვნული ჩემპიონატი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში



პირველი ადგილი და ოქროს თასი მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის გუნდმა „თსუ“-მ შემდეგი შემადგენლობით: ოთარ მაჩაიძე, მათე ხვედელიძე, თეკლე კენკიშვილი. გუნდს მწვრთნელობა გაუწია ადვოკატმა, თსუ-ის მოწვეულმა ლექტორმა – ლაშა ცერცვაძემ.

*გვ. 3*

## „სწავლის ხელშეწყობის ფონდის“ პრეზენტაცია თსუ-ში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქველმოქმედო ორგანიზაცია „სწავლის ხელშეწყობის ფონდის“ პრეზენტაცია გაიმართა. ფონდის დამფუძნებელია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორების და სტუდენტების ჯგუფი, რომელთა შორისაა ქალაქ თბილისის მერი დავით ნარმანია.

*გვ. 2*

## თსუ გორდელა აშშ-ში



*გვ. 4*

# „სწავლის ხელშეწყობის ფონდის“ პრეზენტაცია თსუ-ში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქველმოქმედო ორგანიზაცია „სწავლის ხელშეწყობის ფონდის“ პრეზენტაცია გაიმართა. ფონდის დამფუძნებელია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორების და სტუდენტების ჯგუფი, რომელთა შორისაა ქალაქ თბილისის მერი დავით ნარმანია.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ქალაქ თბილისის მერი, პროფესორი დავით ნარმანია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, ფონდის დამფუძნებლები, თსუ პროფესორები და სტუდენტები.

ფონდის მიზანია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის სოციალური გარემოს ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს განათლების მიღების ხელმისაწვდომობას ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის გზით. ფონდში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც სურვილი აქვს დაეხმაროს სოციალურად დაუცველ წარმატებულ სტუდენტებს.

ფონდი შეეცდება ფიზიკური პირების, პირთა ჯგუფების, ბიზნეს-ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზებული წარმონაქმნების, ადგილობრივი მართვისა და თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მობილიზებას, რათა მოხდეს ხელმოკლე და სოციალურად დაუცველი წარმატებული სტუდენტებისათვის კონკრეტული ჰუმანიტარული ან გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა.

თსუ-ს რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას განცხადებით, ამ ფონდის საშუალებით ყველას ექნება საშუალება დაეხმაროს ხელმოკლე და ნიჭიერ სტუდენტებს. ეს არის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორთა და სტუდენტთა ინიციატივა, რაც მნიშვნელოვანია და მისი წარმატება დამოკიდებული იქნება მოზიდულ სახსრებზეც. ამასთან, რექტორმა სხვა ფაკულტეტებს ამ ინიციატივის გაზიარებისკენ მოუწოდა.

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ კი განაცხადა, რომ მათი ინიციატივა კერძო ინიციატივების ინსტიტუციონალურ ჩარჩოში გადაყვანის მცდელობა გახლავთ. მისივე ინფორმაციით, პირველი რესურსები ფონდში უკვე არსებობს და პირველი დახმარებების გაცემასაც ფონდი უკვე იანვარში შეძლებს.

# თსუ პროფესორის წარმატება



თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე არჩეულია ბიზნეს სისტემების ლაბორატორიის (იტალია) სამეცნიერო საზოგადოების ინიციატივით შექმნილი „ბაზრებისა და ბიზნეს სისტემების საერთაშორისო ჟურნალი“ [International Journal of Markets and Business Systems – IJMABS] სარედაქციო კოლეგიის წევრად.

ჟურნალში გამოსაქვეყნებელი სტატიების მიღება 1 სექტემბერს დაიწყო. კვლევითი სახის სტატიების გარდა IJMABS აქვეყნებს მიმოხილვებსა და სასწავლო მაგალითების სტილის მასალებს. გარდა ამისა, იგი მკითხველს სთავაზობს დისკუსიას მრავალ საინტერესო და აქტუალურ საკითხზე, რომელიც ბაზრისა და ორგანიზაციულ გარემოსთან დაკავშირებული სირთულეებისა და საკითხებისადმი ახლებურ მიდგომებს და მეთოდოლოგიას ეხება. IJMABS-ს საკუთარი წვლილი შეაქვს დღევანდელი, ლოკალური თუ გლობალური მასშტაბის, საზოგადოებრივ-ეკონომიკური გამოწვევების თემაზე დებატებში.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები უფრო კონკრეტულად ეხება ისეთ თემებს, როგორიცაა: ხარისხობრივი კვლევის მეთოდები ბაზრისა და ორგანიზაციებისთვის; შიდა და გარე კომუნიკაციის სისტემები ორგანიზაციებისთვის; სოციალური ურთიერთქმედების ინოვაციები და დიზაინი; სოციალური პასუხისმგებლობა და ბიზნეს ეთიკა; კომპლექსურობა და ქაოსის თეორია. ცოდნისა და ინფორმაციის მენეჯმენტი; მომხმარებლის ქცევის თეორია; საბაზრო და სამომხმარებლო სისტემები; ფინანსური სისტემები და სხვა.

# რექტორი საზოგადოების შეკითხვებს პასუხობს

პირველი გვერდიდან

ული პრობლემები, მაგრამ პრობლემები უნდა გადაწყდეს კანონის საფუძველზე და არა რეპრესიების ან თვითშემოქმედების მიხედვით,“- განაცხადა თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ. მისი თქმით, უნივერსიტეტი მუდამ მზად არის ითანამშრომლოს როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორთან განათლების სისტემის გასაუმჯობესებლად. თუმცა, რექტორის აზრით, ამასთან ერთად საჭიროა „მთავრობასა და საკანონმდებლო ორგანოს ჰქონდეს კეთილი ნება უმაღლესი განათლება ჩვენს ქვეყანაში გახდეს პრიორიტეტული“.

პრესკონფერენციაზე თსუ რექტორმა რამდენიმე დოკუმენტი წარმოადგინა. მათ შორის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დასკვნა. ეს ორგანიზაცია 2010 წლიდან ატარებს კვლევას საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ. IDFI-ის 2013-2014 წლების კვლევის მიხედვით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაჩვენებლები 2012-2013 წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა და ბოლო ადგილიდან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

კვლევის გაშუქებისას განსაკუთრებით გამოიყო პრემიებისა და სახელფასო დანამატების თემა, რომლის შესახებაც ინფორმაცია არასწორი ინტერპრეტაციით გავრცელდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეტალური ბიუჯეტი და სხვა ტიპის საჯარო ინფორმაცია ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე არაერთი განმარტება გაკეთდა, პრემიებისა და დანამატების შესახებ დაზუსტებულმა ინფორმაციამ საზოგადოებამდე ვერ მიაღწია და ხმაურიანი განცხადებების მიზეზი გახდა.

რექტორის განმარტებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებამდე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ხელფასი თანამდებობრივი სარგოსა და დანატამისგან შედგებოდა. დანამატის ოდენობა საათობრივ დატვირთვაზე იყო დამოკიდებული და ხელფასის ნაწილი გახლდათ. ზემოთ აღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგ, დანამატი თანამდებობრივ სარგოში აისახა. ეს ჯერ კიდევ კვლევის გამოქვეყნებამდე მოხდა. 2014 წელს დანამატის სახით უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალზე თანხა არ გაცემულა. რაც შეეხება პრემიებს, მისი ოდენობა წინა წლებთან შედარებით შემცირებულია და 3 თვეში საშუალოდ ერთ ადამიანზე 300 ლარს შეადგენს.

ბოლო პერიოდში ასევე გავრცელდა არაობიექტური ინფორმაცია უნივერსიტეტში განხორციელებული საკადრო და სტრუქტურული ცვლილებების შესახებ, ასევე სამივლინებო ხარჯებთან დაკავშირებით.

თსუ რექტორის განცხადებით, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა კათედრა თსუ–ში 1991 წელს შეიქმნა, 2005 წელს გაუქმდა რეორგანიზაციის შედეგად. 2013 წელს კი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით მოხდა მისი აღდგენა. 2005 წელს რეორგანიზაციისას გაუქმდა დემოგრაფიის კათედრაც, რომელიც 1999 წლიდან არსებობდა უნივერსიტეტში. დემოგრაფიის პროგრამა საზოგადოებრივი გეოგრაფის მიმართულებაზე აღდგა მიმდინარე წელს. შესაბამისად, მოხდა აკადმიური პერსონალის არჩევა კონკურსის საფუძველზე.

„არც ერთი ადამიანი აკადემიურ თანამდებობებზე რექტორს არ დაუნიშნავს. ყველამ გაიარა კონკურსი. შესაბამისად, საკონკურსო კომისიამ შეარჩია პირები აკადემიურ თანამდებობებზე“, – აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

რექტორი შეეხო მივლინებების საკითხს. მისი თქმით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით „რექტორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები“.

აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის განვითარების, სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით რექტორი მონაწილეობს სამეცნიერო, საგანმანათლებლო პროექტებში, კონფერენციებში, ახორციელებს საერთაშორისო ვიზიტებს პარტნიორ უნივერსიტეტებში.

ბოლო ერთი წლის მანძილზე თსუ რექტორს ჰქონდა 22 მივლინება (8 ქვეყნის შიგნით და 14 გარეთ), მათგან რამდენიმე ძველი სამსახურის პროექტის და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსებით განხორციელდა.

ამას გარდა, რექტორი შეეხო ასევე იმ ნაბიჯებს, რომელიც 2013-2014 წლებში უნივერსიტეტის განვითარებისთვის გადაიდგა:

2013-2014 სასწავლო წელს გაფორმდა და განახლდა თანამშრომლობის 27 ხელშეკრულება უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებებულებებთან;

2013-2014 სასწავლო წელს 126 სტუდენტი და აკადემიური პერსონალი გაიგზავნა ევროპის 19 ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებებულებებში;

2013 წლიდან დღემდე თსუ-ს გაცვლითი პროგრამებით 80 სტუდენტი, პროფესორი და მკვლევარი ეწვია ევროპის 15 ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები:

თსუ ბიბლიოთეკა გამდიდრდა 2 949 დასახელების წიგნით (7 310 ერთეული), მათ შორის 2 347 სახელმძღვანელოა;

შეძენილია და ამოქმედებულია უნიკალური რობოტო-სკანერი (237 000 ლარი);

შეძენილია ოცამდე სახელმძღვანელოს თარგმნის უფლება და ინტენსიურად მიმდინარეობს მათი ქართულად თარგმნის პროცესი. წლის ბოლომდე დასრულდება 4 სახელმძღვანელოს თარგმნა.

ამის გარდა, რექტორის პირადი ბიბლიოთეკიდან თსუ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა 631 დასახელების 806 წიგნი.

თსუ ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხაა გათვალისწინებული სტუდენტების დასახმარებლად. 2014 წელს, 2013 წლის მსგავსად, 650 ათასი ლარია გამოყოფილი სტუდენტების ფინანსური დახმარების მიზნით. სტუდენტების სამივლინებო თანხამ 2014 წელს 361 850 ლარი შეადგინა, პრაქტიკებისა და ექსპედიციებისთვის გამოყოფილი თანხა კი 2013 წელს 167 400 ლარს შეადგენდა, 2014 წელს – 270 835 ლარს. 2014 წლის 1 მარტიდან ბაკალავრიატის საფეხურის საუკეთესო აკადემიური მოსწრების სტუდენტს სემესტრულად გადაეცემა რექტორის სტიპენდია – 250 ლარი თვეში. 1 ნოემბრის მდგომარეობით გაცემულია – 2 000 ლარი. სულ რექტორის ხელფასიდან სტუდენტებზე გაიცა – 5 237,5 ლარი. რექტორის ხელფასიდან დაფინანსდა 3 სოციალურად დაუცველი სტუდენტი – 3 237,5 ლარი.

# თსუ-ს ახალი წარმომადგენლობითი საბჭო ჰყავს

პირველი გვერდიდან

ჯებაშვილი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი – ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი და ასოცირებეული პროფესორი მანანა შამილიშვილი; სტუდენტები – ლევან ლორთქიფანიძე და შალვა საბაური: ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი – ასისტენტ-პროფესორი ირინე ჟვანია და ასისტენტ-პროფესორი ნინო ჩახუნაშვილი, სტუდენტი ბექა დადეშქელიანი; ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი – აკადემიური პერსონალი – ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი, პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე; სტუდენტები – ლია გორდეძიშვილი, თათია სოსიაშვილი, ანზორ ბერუაშვილი; მედიცინის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი – პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი, პროფესორი პაატა იმნაძე და პროფესორი ნინო ოკრიბელაშვილი; სტუდენტი – გიორგი გიორგაძე; იურიდიული ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი – ასოცირებული პროფესორი გიორგი თუმანიშვილი, ასოცირებული პროფესორი მარიამ ცისკაძე, პროფესორი ნონა თოდუა; სტუდენტები – ბახვა კვირიკაშვილი და ირაკლი კუპრაძე. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგელობაში ასევე შედის აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი.

წარმომადგენლობითი საბჭოს პირველი სხდომა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების თანახმად, 15 ნოემბერს გაიმართა. მას 39 წევრი და თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავაც ესწრებოდა.

სხდომაზე წევრების უფლებამოსილება ძალაში ოფიციალურად შევიდა. სენატის სპიკერის პოსტზე წარმოდგენილი იყო პროფესორ კახაბერ ლორიას კანდიდატურა (იგი წინა წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერიც იყო). სხდომაზე დასახელდა ასევე მეორე კანდიდატიც – პროფესორი ლევან გორდეზიანი. კახაბერ ლორიას ღია კენჭისყრით სენატის 31 წევრმა დაუჭირა მხარი, ლევან გორდეზიანს კი – ორმა. სენატის 5 წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. შესაბამისად, თსუ-ის წარმოამდგენლეობითი საბჭოს სპიკერად კახაბერ ლორიას კანდიდატურა დამტკიცდა.

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძე განაცხადა, არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. განმეორებითი ტური მხოლოდ იურიდიულ ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის არჩევისთვის გახდა აუცილებელი, რადდგან სამმა კანდიდატმა ხმების ერთი და იგივე რაოდენობა მიიღო.

„არჩევნებმა ნორმალურ ვითარებაში ჩაიარა. არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია. კენჭისყრის დასრულების შემდეგ არ დაფიქსირებულა არც გასაჩივრების ფაქტი, თუმცა გარკვეული გადაცდომები მაინც იყო. მაგალითად, სტუდენტები ცდილობდნენ მხარდამჭერების აღრიცხვას საარჩევნო ოთახების გარეთ და კომისიის წევრებმა რამდენჯერმე მისცეს გაფრთხილება“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების თანახმად, რექტორთან და აკადემიურ საბჭოსთან ერთად წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის მართვითი ორგანოა. წარმომადგენლობითი საბჭო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად შეიმუშავებს და, აკადემიური საბჭოს მონაწილეობით, განიხილავს უნივერსიტეტის წესდების, წესდების ცვლილებების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს; ამასთან, შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს; რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი წარდგინების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს მონაწილეობით განიხილავს და წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დამსწრე წევრთა უმრავლესობით ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურას, რაც აისახება უნივერსიტეტის წესდებაში. იგი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დებულებას, უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დებულებებს, ხოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით, ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს. ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს; ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს; უნივერსიტეტის სტრუქტურას, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების (სახელფასო ფონდის) ოდენობასა და პირობებს.

# კავკასიელი და გერმანელი მეცნიერები ნახშირორჟანგის შეგროვებისა და შენახვის პერსპექტივებს იკვლევენ

*პირველი გვერდიდან*





მეცნიერი განმარტავს, სასათბურე გაზის-ნახშირორჟანგის ემისიის (გამოყოფის) რაოდენობრივი შეფასების, მისი მიტოვებულ საბადოებში ჩატუმბვა-შენახვის ან ბიოდიზელად გარდაქმნის თვალსაზრისით, პროექტს დიდი სამეცნიერო, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. ეს კვლევები წარმოადგენს სამეცნიერო საფუძველს მომავალში ისეთი ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენებისა, რომლებიც რეალურად შეამცირებენ ნახშირორჟანგის ემისიას გარემოში.

გერმანიის მხრიდან (კოორდინატორი მხარე) პროექტის ხელმძღვანელი კარლსრუეს (Carlsrue) ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ბირგიტ მიულერი, ხოლო სომხეთის მხრიდან გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი არკადი კარახანიანი იყვნენ.

პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა სამუშაოებისათვის, თანამედროვე აპარატურა და ხელსაწყოები გამოიყენებოდა. მიღებული მასალა მუშავდებოდა GIS სისტემასა და სპეციალური მოდელირების პროგრამების (Feflow, VisualModflowPro) გამოყენებით.

„განხორციელებული სამუშაოების შედეგად შესწავლილი და დახასიათებულია სამხრეთ კავკასიის რეგიონში ბუნებრივი გაზების გავრცელება. ხარისხობრივად და რაოდენობრივად გაანალიზდა „სასათბურე გაზების“ ემისიები (გამოყოფა) ბუნებრივი წყაროებიდან. უხეშად რომ განვმარტოთ, ამ გაზებს დედამიწის გადახურების ეფექტი შეიძლება ჰქონდეთ, რადგან დადასტურდა, რომ სამხრეთ კავკასია, კერძოდ კი საქართველო და სომხეთი, მდიდარია მინერალური წყაროებით, რომლებიც ხასიათდებიან ბუნებრივი გაზების მაღალი ემისიებით. ამასთან, ბუნებრივი აირები ძალიან მგრძნობიარე მახასიათებლები არიან რეგიონის გეოლოგიური აგებულებისა, შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის გეოტექტონიკური ერთეულების მრავალგვაროვნების გამო, განსხვავებულია ბუნებრივი გაზების შემადგენლობა და განაწილება, ისევე, როგორც მათი შემცველი ქანები“, – აცხადებს გიორგი მელიქაძე.

პროექტი ასევე ითვალისწინებდა ნახშირორჟანგის ყოფილ ნავთობ ან გაზშემცველ გეოლოგიურ საბადოებში ჩატუმბვის შესაძლებლობის გათვლასა და თანმდევი გეომექანიკური და გეოქიმიური პროცესების შესწავლას. ჩატარდა კვლევები საქართველოში ნახშირორჟანგის დაგროვების გეოლოგიურად უსაფრთხო ადგილების შერჩევის მიზნით. არსებული ფონდური და ახლად მოპოვებული მასალის საფუძველზე, განხორციელდა ნახშიორჟანგის ყოფილ ნავთობშემცველ საბადოში ჩატუმბვის და მასში განვითარებული პროცესების ციფრული მოდელირება. შემუშავდა პროცესების განვითარების სცენარები. თუმცა, რეალურად, ამ სისტემის გამართვამდე საჭიროა დამატებითი რეალური ჩატუმბვის განხორციელება საპილოტე პროექტის ფარგლებში.

როგორც გიორგი მელიქაძე აცხადებს, „ნახშირორჟანგის შემცირების მეორე, ასევე მნიშვნელვანი მიმართულებით, კერძოდ, ნახშირორჟანგის ბიო-საწვავად გარდაქმნის საკითხზე მუშაობდნენ პროექტში სომხეთიდან ჩართული მეცნიერები. ჩატარდა ლაბორატორიული და საცდელი საველე კვლევები, ლავურ განფენებზე არსებულ ნახშიორჟანგით მდიდარ წყაროებზე. მიღწეულია დადებითი შედეგები, რომლის შემდეგ ეტაპს წარმოადგენს მსხვილმასშტაბიანი საპილოტე პროექტი, რომლის საქართველოში შესაძლო განხორციელების ადგილად შეიძლება ჯავახეთის ზეგანზე ან კავკასიონის სამხრეთ ფერდზე არსებული ნახშირორჟანგით მდიდარი მინერალური წყაროები შეირჩეს“.

# მეორე ეროვნული ჩემპიონატი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის (NCADR) ორგანიზებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ), აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტისა (EWMI) და მისი პროგრამის - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) ფინანსური და არბიტრაჟის ინიციატივა – საქართველოსა და საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის აკადემიური მხარდაჭერით 15-16 ნოემბერს თსუ-ში დასრულდა მეორე ყოველწლიური ჩემპიონატი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში.

შეჯიბრში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისა და ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გუნდები.

ნახევარფინალურ რაუნდში მონაწილეობდნენ: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ორი გუნდი) და ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გუნდები.

ფინალურ რაუნდში პირველი ადგილი და ოქროს თასი მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის გუნდმა „თსუ“-მ შემდეგი შემადგენლობით: ოთარ მაჩაიძე, მათე ხვედელიძე, თეკლე კენკიშვილი. გუნდს მწვრთნელობა გაუწია ადვოკატმა, თსუ-ის მოწვეულმა ლექტორმა – ლაშა ცერცვაძემ.

მეორე ადგილისა და ვერცხლის თასის მფლობელი გახდა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გუნდი შემდეგი წევრების შემადგენლობით: მამუკა ბუბუტეიშვილი, ანა აღლაძე, ნიკა სერგია და ნინო ბაგაშვილი. გუნდს მწვრთნელობა გაუწია დავით ჩიტაიშვილმა.

საუკეთესო საარბიტრაჟოს სარჩელისათვის დაჯილდოვდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი „მენდასიუმის“ წევრები: ლიკა ყოყუაშვილი, სალომე პაპოშვილი, თათია როგავა და სოფიკო ხუციშვილი. გუნდ „მენდასიუმს“ მწვრთნელობა გაუწია პროფესორმა, ადვოკატმა ირაკლი კორძახიამ.

საუკეთესო საარბიტრაჟოს შესაგებლისთვის დაჯილდოვდნენ თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდის წევრები: ინგა ნათელაური და ბელონა ჩირაძე, ნინო დუნდუას ხელმძღვანელობით.

კონკურსში ასევე წარმატებით მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები (მწვრთნელი გიორგი ნარმანია): ვახტანგ ჩხენკელი, მარიამ გოგიაშვილი, ვახტანგ გიორგაძე, დიტო ხვიჩია და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტები: მარიამ კახნიაშვილი, თამთა სებისკვერაძე, ელენე ებანოიძე და ნინო ალანია, მადონა ღიბრაძის ხელმძღვანელობის ქვეშ.

# რეგიონული კონფერენცია „ადამიანური რესურსების განვითარება ადგილობრივ თვითმმართველობაში“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეგიონული კონფერენცია „ადამიანური რესურსების განვითარება ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ჩატარდა.

კონფერენცია თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის ორგანიზებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით გაიმართა.

„ადამიანური რესურსების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია, გამომდინარე იქიდან, რომ თვითმმართველობებს გაუჩნდებათ ახალი პერსპექტივები თავიანთი მოხელეების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. დღევანდელი კონფერენცია სწორედ ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებული მოხელეების განვითარებას შეუწყობს ხელს და მუნიციპალიტეტებს დაეხმარება ადამიანური რესურსების კოორდინაციასა და ხარისხის უზრუნველყოფაში“, – აღნიშნა თსუ პროფესორმა ირაკლი კობახიძემ.

„როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში ბევრი რეფორმა ეხება ადგილობრივ თვითმმართველობებს და, სწორედ ამიტომ, ეს ორდღიანი კონფერენცია მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ჩვენ გვყავს მონაწილეები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და საქართველოდან, რომლებიც წარმოადგენენ მოხსენებებს ადამიანური რესურსების განვითარების თვალსაზრისით, ისინი კონფერენციის მონაწილეებს გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას ამ დარგში რეფორმებისა და ახალი სტრატეგიების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების განვითარებას“, – განაცხადა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენელმა საშა კუნიმ.

კონფერენციას გერმანელი ექსპერტები, სომეხი და აზერბაიჯანელი სტუმრები, თსუ-სა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტების აკადემიური წრეების წარმომადგენლები, ასევე საქართველოს რამდენიმე რეგიონის თვითმმართველობის წევრები დაესწრნენ.

# სიახლეები

10 ნოემბერს თსუ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა გამოფენა „წიგნები სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქ კირიონ II-ის პირადი კოლექციდან“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკში, მრავალი სახელოვანი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის წიგნების კოლექციებთან ერთად, დაცულია დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს პირველი პატრიარქის კირიონ მეორის პირადი ბიბლიოთეკის ნაწილი. კოლექცია მოიცავს როგორც სასულიერო, ისე საერო შინაარსის წიგნებს. კირიონ მეორე იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, რომელიც დაუღალავად იღვწოდა საქართველოში განათლების აღორძინებისათვის. ამიტომაც იგი გულმხურვალედ მიესალმა თბილისში უნივერსიტეტის დაარსებას. პატრიარქმა კირიონ მეორემ 1918 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს) პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით სადღესასწაულო წირვა აღავლინა და დალოცა უნივერსიტეტი.

***

7 ნოემბერს თსუ-ში გერმანიის საელჩოს მიერ ორგანიზებული ღონისძიების „ბერლინის კედლის დაცემის 25 წელი“ ფარგლებში გაიმართა დოკუმენტური ფილმის „Zug in die Freiheit“ ჩვენება. ფილმი 1989 წელს გდრ-იდან გაქცეული პირების ისტორიაზე მოგვითხრობს, რომლებმაც პრაღის საელჩოს შეაფარეს თავი. ფილმის ჩვენებას დაესწრო გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ორთვინ ჰენიგი.

***

6 ნოემბერს თსუ-ში გაიმართა საჯარო ლექცია „ევროინტეგრაციის პროცესის გამოწვევები: ალბანეთის გამოცდილება“. ლექცია წაიკითხა არბენ მალაიმ – „საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინსტიტუტის“ (IPPM) ხელმძღვანელმა და ალბანეთის ფინანსთა და ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა (1997-2005 წწ), რომლის დროსაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გატარდა. ლექცია დისკუსიის ფორმატში წარიმართა. ღონისძიება ჩატარდა პროექტ – „ალბანეთისთვის ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირში ეკონომიკური ინტეგრაციის გამოცდილების გაზიარება“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი – PMCG“-ის მიერ ვიშეგრადის ფონდის მხარდაჭერით და „საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინსტიტუტთან“ (IPPM, ალბანეთი), თანამშრომლობით. პროექტის მიზანი ალბანეთის მთავრობის რეფორმების განხორციელების, ევროინტეგრაციის პროცესში საქართველოს და ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინების ხელშეწყობაა.

***

6 ნოემბერს თსუ-სა და იუსტიციის უმაღლეს სკოლას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს თსუ რექტორის მოადგილემ, აკადემიკოსმა ლევან ალექსიძემ და იუსტიციის სკოლის დირექტორმა ლაშა მაღრაძემ მოაწერეს ხელი. ხელშეკრულების თანახმად, იუსტიციის უმაღლესი სკოლა თსუ-ს სთავაზობს საჯარო ლექციების ორგანიზებას სამართლის სფეროების მიხედვით აქტუალურ თემებზე; მხარეები იზრუნებენ ერთობლივი სასწავლო ღონისძიებების განხორციელებაზე წინასწარ შეთანხმებულ საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა პროფესიულ განვითარებას.

***

6 ნოემბერს თსუ-ში ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ERASMUS MUNDUS-ის პროექტების BACKIS, HERMES, EMBER კოორდინატორებთან და ევროპული უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრა საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა საფეხურის სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევრებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის გაიმართა.

# თსუ გორდელა აშშ-ში

„თსუ გორდელა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის მიწვევით იმყოფებოდა. ანსამბლმა გამართა საქველმოქმედო კონცერტები ნიუ იორკში, ბრუკლინში, ჩიკაგოში, ფილადელფიასა და ნიუ ჯერსიში. კონცერტებიდან შემოსული თანხა ფილადელფიაში ქართული ტაძრის მშენებლობას მოხმარდა.




# ტრენინგი დამწყები ტრენერებისთვის

თუ გსურთ ტრენინგ-კურსების ჩატარება და ფლობთ რაიმე კომპეტენციას სპეციალობაში, ჩვენი კურსი დაგეხმარებათ ტრენერობისათვის აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევების მიღებასა და ცოდნის გაღრმავებაში.

კურსის გავლის შემდეგ მსმენელს შეეძლება:

შეისწავლოს სამიზნე აუდიტორია და მისი საჭიროებები. მოამზადოს პროგრამა და გაწეროს დროში, დაგეგმოს სესიები, მოახდინოს თვითშეფასება, მართოს გუნდი და მართოს დრო.

***კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს ეცოდინებათ:***

ტრენინგი და მისი სპეციფიკა;

პირველი დღე და მასთან დაკავშირებული სირთულეები;

როგორ ავაგოთ პირველი დღის გეგმა, გეგმის პრეზენაცია;

ნიშის მოძებნა;

სამიზნე აუდიტორია და მისი კვლევა;

როგორ შევქმნათ პროგრამა;

ტრენინგ მოდულის და კურსის სტრუქტურის შემუშავება, დროში გაწერა;

გუნდის მართვა და დინამიკა;

რა თვისებებს უნდა ფლობდეს ტრენერი;

ტრენინგი, მისი ტიპები, გამოყენებული აქტივობები და მეთოდები;

ლიდერი და ლიდერობა.

***კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის:***

არ არსებობს

***პედაგოგი:*** ლალი ჭელიძე

***სწავლების ენა:*** ქართული

***კურსის ხანგრძლივობა:*** 15საათი ( 5 დღე, დღეში 3 საათი )

***კურსის ღირებულება:*** 120 ლარი

მეცადინეობები ჩატარდება თსუ-ის II კორპუსში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №3 აუდიტორია 101.

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა თსუ-ის სერტიფიკატი;

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.tsu.edu.ge

# სამეჯლისო ცეკვების სტუდია „თსუ მოდერნი“ გიწვევთ ცეკვის შესასწავლად!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გადასახადი მხოლოდ 20 ლარი!

ისწავლეთ ცეკვა პროფესიონალურ ან სამოყვარულო დონეზე!

მიღება წარმოებს წლის ნებისმიერ დროს ყოველ დღე!

ისწავლეთ ცეკვა ჯგუფებში ან ინდივიდუალურად, ქორწილისთვის ან კორპორატიული საღამოებისთვის...

***თქვენ გელით:*** კონცერტები, კონკურსები, ცეკვის საუკეთესოდ შესწავლა, უამრავი გართობა!

***სტუდიაში ისწავლება:*** სამეჯლისო -სპორტული ცეკვები, ჩერლიდინგი (კალათბურთის გულშემატკივარ გოგონათა ჯგუფი), Social dance, მსოფლიო ხალხთა ცეკვები...

„თსუ მოდერნი“ (მის: ჭავჭავაძის №3)

***დაწყებითი ჯგუფი*** – ორშაბათი, ოთხშაბათი: 16:30 – 18:00.

***პროფესიონალთა ჯგუფი*** – ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი: 18:00 – 19:30.

***სამოყვარულო ჯგუფი*** – ორშაბათი, პარასკევი: 19:30 – 21:00

პროფესიონალური და სამოყვარულო ჯგუფებში სწავლის შემთხვევაში თქვენ საშუალება გექნებათ მონაწილეობა მიიღოთ კონცერტებში, კონკურსებში, გასართობ ღონისძიებებსა და შოუ-პროგრამებში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ქვემოთ მოცემულ ლინკზე შეგიძლიათ შეხვიდეთ და დასვათ დამატებითი კითხვები, ასევე იხილოთ თსუ-მოდერნის მოცეკვავეების აქტივობები: http://www.facebook.com/TSUDance

რეგისტრაციისათვის მიმართეთ თსუ-ის კულტურის და სპორტის დეპარტამენტს, თსუ-ის I კორპუსი, აუდიტორია 309

# „შემოდგომის ლეგენდა“ 2014

***პირველი გვერდიდან***




ბევრი რამის დაწერა. ტექსტი ძალიან ბევრჯერ გადავათეთრე, შევცვალე, წავიკითხე. ბოლოს მეგონა, რომ საერთოდ არც ღირდა ჩაბარება, მაგრამ მაინც გავბედე და მივიტანე. ბედნიერი ვარ, რომ ამ შესაძლებლობაზე უარი არ ვთქვი,,, – აღნიშნა კონკურსის გამარჯვებულმა ქეთევან მეფარიძემ. მანამდე ქეთი თავის გატაცებას სერიოზულად არ მიიჩნევდა, წლევანდელი კონკურსის შემდეგ კი დარწმუნდა, რომ ბევრი უნდა იმუშაოს და წერას ხელი სერიოზულად მოჰკიდოს.

„ამ კონკურსში ჟიურის წევრად ყოფნის სტიმული ჩემთვის ახალგაზრდების უკეთესად გაცნობა იყო. იმის გაგება, თუ რას და, რაც მთავარია, როგორ წერენ, რა თემები აწუხებთ. თანამედროვე ლიტერატურა ბევრი ფორმის და ბევრი ახალი იდეის ნაზავია, ამდენად საინტერესოა, როგორ ითვისებენ იმ მასალას, რომელსაც კითხულობენ. როგორ ხდება ამ თემების ტრანსფორმაცია მათ ნაწერებში. ჩემთვის ერთი-ორი მონაწილის ტექსტი გამოვყავი და ვფიქრობ, რომ თუ ისინი სწორედ და ბეჯითად მოეკიდებიან ამ საქმეს, შეიძლება ქართულ ლიტერატურას საინტერესო ნაწერები შემატონ“, – განაცხადა მწერალმა ბასა ჯანიკაშვილმა, რომელიც ამ კონკურსის ჟიურის წევრი წელს პირველად იყო. მისი თქმით, კონკურსის მონაწილეებთან საუბრისას, თუ მათი ნაწერების კითხვისას, დარწმუნდა, რომ ისინი მართლაც ბევრს კითხულობენ.

„ძალზე ცოტა ლიტერატურული კონკურსი თუ დაიკვეხნის მსგავსი ხანგრძლივი ისტორიით. დასაფასებელია ის სტაბილურობა, ერთგულება, რისი გარანტიც თსუ და „ჯეოსელია“. ამ ექვსმა წელმა განაპირობა ის, რომ „შემოდგომის ლეგენდას“ უკვე საკუთარი ტრადიციები და ინოვაციური მიდგომები აქვს. საქართველოში, რატომღაც, მიღებულია, რომ ჟიური დუმს. ან მისი წევრები გასაიდუმლოებულია. კონკურსი დასრულდება და არაფერს ამბობენ საკუთარ დამოკიდებულებაზე, შიდა სამზარეულოზე. ვფიქრობ, ეს არასწორია. „შემოდგომის ლეგენდას“ ყველაზე გახსნილი ჟიური ჰყავს. ჩვენ მუდმივ კონტაქტში ვართ ბავშვებთან. წელს მასტერკლასების მერეც შევაფასეთ ნაწარმოებები, თბილისში დავბრუნდით და კვლავ ერთად ვმუშაობთ ტექსტებზე“. – განაცხადა ჟიურის წევრმა მაკა ლდოკონენმა.

წინა წლებისაგან განსხვავებით, წელს ჟიურის წევრებმაც კი არ იცოდნენ ბოლომდე ნაწარმოების ავტორთა ვინაობა. თუმცა, ზოგიერთის „ამოცნობა“ მაინც მოხერხდა. ერთ-ერთი ანი ლაზვიაშვილია, რომელიც ამ კონკურსში მესამედ მონაწილეობს. „ანის განსხვავებული ხელწერა აქვს, წელს ვერ მოხვდა გამარჯვებულებში, თუმცა, ჩემი ერთ-ერთი ფავორიტი იყო“, – ამბობს მაკა.

თეონა დოლენჯაშვილის შეფასებით, „წლევანდელი ნაკადი ერთ-ერთი საუკეთესო იყო. საინტერესო იყო ასევე თემაც, რომელსაც მონაწილეებმა, ძირითადად, წარმატებით გაართვეს თავი და რამდენიმე საინტერესო ნაშრომიც მივიღეთ. გარდა იმისა, რომ ყოველ კონკურსზე ახალი სახეები ჩნდებიან და ყოველ წელს აღმოჩენებს ვაკეთებთ, არიან ადამიანები, რომლებიც მოყვებიან ლეგენდას და სისტემატურად ხვდებიან იმპროვიზაციულ ტურში. შემდეგ ეს ადამიანები თანამედროვე პროზის წარმომადგენლებად ყალიბდებიან და უკვე თავის წიგნებსაც კი გამოსცემენ. კარგია დინამიკაში იმის დაკვირვება, თუ როგორ იზრდებიან ლეგენდიდან ლეგენდამდე, როგორ ხდება მათი ტექსტი თანდათან უფრო დახვეწილი და საინტერესო.“

საკუთარი აღმოჩენები, უკვე ჟიურის წევრებში, წელს თავად კონკურსანტებსაც ჰქონდათ. კონკურსში ჟიურის წევრის სტატუსით მონაწილე წინა წლის ფინალისტი ბექა ადამაშვილი, რამდენიმე ნაცნობმა „ხელახლა გაიცნო“. ამას ბექას მიერ საკუთარი წიგნის – „ბესტსელერის“ ერთდროულად მხიარულმა და შემეცნებითმა პრეზენტაციამაც შეუწყო ხელი.

წელს „შემოდგომის ლეგენდის“ მონაწილეებს ჟიურის წევრთა მიერ ჩატარებული მასტერ-კლასების მოსმენის საშუალებაც ჰქონდათ. ზოგიერთმა კონკურსანტმა ამ რჩევებით წერის დროსაც ისარგებლა. მაგალითად ბასა ჯანიკაშვილის რჩევით – აქცენტი თხრობისას ამბავზე გაეკეთებინათ და არა საკუთარ განცდებსა და ემოციებზე.

მეორე ადგილის მფლობელი, თსუ სტუდენტი ნინო მოდებაძე, წლევანდელ „ლეგენდაში“ წინა წლის შეცდომების გამოსასწორებლად მონაწილეობდა და შედეგით კმაყოფილი დარჩა. მესამე ადგილზე გასული თამათა ქამუშაძე კი ხუმრობს, რომ გასული წლისგან განსხვავებით „გაჭირვებული ქამუშაძე“ აღარ არის.

წელს კონკურსში თბილისთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 20 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიც ჩაერთნენ. პირველ ტურში მონაწილეება 268 კონკურსანტმა მიიღო. კონკურსის საინფორმაციო მხარდამჭერმა ჟურნალმა „ლიბერალმა“ გამარჯვებული ავტორის ნაშრომი – „კუნძული კოენე“ გამოაქვეყნა.

„კონკურსის მიზანია მივაწოდოთ ახალი თაობა თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. ვცდილობთ წლიდან წლამდე განვავითაროთ კონკურსი, შემოვიტანოთ სიახლეები და ინოვაციური მიდგომები. წელს ჩატარებულმა რამდენიმე ლიტერატურულმა სემინარმა ხელი შეუწყო მწერლობის და ლიტერატურული ტექნიკის უკეთ გააზრებას. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით კიდევ უფრო გავაქტიურდეთ და მომავალი წლიდან მეტი ლექცია და სემინარი შევთავაზოთ ფინალისტებს“, – აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტების მენეჯერმა ნინო კალანდიამ.

კონკურსში მონაწილეობის ყველა მსურველს კიდევ ერთი შანსი „ჯეოსელმა“ მისცა. მათ, ლეგენდის იმპროვიზაციული ტურის პარალელურად, მიმდინარე ონლაინ მარათონში შეეძლოთ ჩართვა. კომპანია „ჯეოსელის“ წარმომადგენლის თაკო როდონაიას თქმით, წელს მარათონში 400 მონაწილე დაფიქსირდა. გამარჯვებულს, თსუ სტუდენტ თინათინ მანიას კი „ჯეოსელისგან“ სპეციალური პრიზი გადაეცა.



# გზავნილი რაჭიდან



„ონიდან სოფელ უწერაში ვბრუნდებოდით. უეცრად გაწვიმდა ისე, როგორც აქ, მთიან რაჭაში იცის – კოკისპირულად. მანქანა სავსე იყო, თუმცა გულგრილად ვერ დავტოვეთ მოხუცი, რომელიც გაჩერებაზე იდგა და ხელს გვიქნევდა. გაუხარდა ჩვენი დანახვა, თქვენ რომ არ გაგეჩერებინათ, 9 კილომეტრი ფეხით უნდა გამევლოო. ქალბატონი თამარ მეტრეველი სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა, სასიხარულო ბევრი მოიგონა, პრობლემების გასაცნობად კი თავისთან, სოფელ ნიგავზებში დაგვპატიჟა“.

„ონის რაიონ სოფელ უწერაში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირამდე აუგიათ საკურორტო ნაგებობები, რომლებიც კომუნისტებს განუახლებიათ და მისთვის დედათა და ბავშვთა სანატორიუმი „ფაზისი“ უწოდებიათ. დღეს მას უფრო ხშირად უწერის კურორტად მოიხსენიებენ. სანატორიუმი 2006-2007 წლებში გაიყიდა, ხოლო ფუნქციონირება ოფიციალურად 4 წელია შეწყვიტა“.

„უწერაში მარტო მე ვარ მოსწავლე გოგო. წელს მეც დავამთავრებ და გავიქცევი აქედან. 3 წელია, რაც აქ ვცხოვრობ, მანამდე თბილისში ვცხოვრობდი. ძალიან გამიჭირდა და ახლაც მიჭირს აქაურობასთან შეგუება, დეპრესიაც კი მქონდა. ადრე უფრო იყვნენ ჩემი ტოლები, მერე ისინიც წავიდნენ და ახლა დრო, ძირითადად, ინტერნეტით და წიგნებით გამყავს, მაგრამ 1 თვეში მეც წავალ უკვე აქედან“.

„რაჭა. ონის რაიონი. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ერთ პატარა ოთახში ირემა ჯაფარიძე ანსამბლ „ბიჭუნეების“ მე-7 თაობას ზრდის და რაჭული სიმღერებით რაჭის სიყვარულს უძლიერებს. 20 წლის წინ მამის, შალვა ჯაფარიძის მიერ დაარსებულ ანსამბლს ხელმძღვანელობს და ოჯახურ ტრადიციას არ ღალატობს“;

„სოფელი უწერა – მთებს შუა ჩაფლული ბუნების საჩუქარია. სოფელსა და შეუვალ მთებს მდინარე მუშუანი შუაზე ჰყოფს, ხიდს ზემოთ სოფელს სალოცავიც აუშენებია. პატარა ბუდესავით ღვთის სახლი ამჟამად დაკეტილია, თუმცა კედლებზე დანთებული სანთლების კვალი შეიმჩნევა, სანთლები ისეც აწყვია... როგორც ჩანს, სოფლის თითო-ოროლა მოსახლე უფლის სახლს ხშირად სტუმრობს,,.

ეს ფრაზები თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტების ხატია მეხრიშვილის, მარიამ ბერაიას, სოფო ქემაშვილის, თათია კაკიაშვილის, თამარ გეგიძის სტატიებიდანაა. სტუდენტები ონის რაიონის სოფელ უწერას სტუმრობდნენ და ერთი კვირის განმავლობაში აკვირდებოდნენ, როგორია აქა-იქ შემორჩენილი რამდენიმე ოჯახის და თითქმის დაცლილი სოფლების ცხოვრება.

ნანახი და განცდილი სტატიებად აქციეს და ჟურნალი „გზავნილი რაჭიდან„ შექმნეს. ჟურნალი მომზადებულია სასწავლო საგნის „ბეჭდური მედია 2“-ის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ დაკაბადონებიდან დაწყებული, დიზაინით დასრულებული, სტუდენტებმა ჟურნალი თავად შექმნეს. ტელესიუჟეტებზეც იგივე შეიძლება ითქვას – კადრები თავად დაამონტაჟეს და დოკუმენტური ფილმი შეკრეს. კურსის ხელმძღვანელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე.

ჟურნალის პრეზენტაცია 11 ნოემბერს თსუ პირველ კორპუსში გაიმართა. ჟურნალთან ერთად პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ფოტო და ვიდეო რეპორტაჟები, რომლებშიც ზემო რაჭის მცხოვრებლები საკუთარ ცხოვრებაზე და იქ არსებულ პრობლემებზე საუბრობენ.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge